გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წწ სტატეგიის 2024-2027 წწ სამოქმედო გეგმის 2025 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

2026 წელი, თებერვალი

შინაარსი

შესავალი 3

ზოგადი პროგრესი 5

დეტალური პროგრესი 10

პირველი სტრატეგიული მიზანი - კონკურენტიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები 10

ამოცანა 1.1: ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა 10

ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე,მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომმობის უზრუნველყოფა 12

ამოცანა 1.3: ფერმერთა / მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია 16

ამოცანა 1.4: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება 17

ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურისა და სერვისებზე ხელმისაწვდომის ზრდა 17

ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება 19

ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება 20

მეორე სტრატეგიული მიზანი - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია 21

ამოცანა 2.1. გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა 21

ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 22

ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება 23

ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება 24

მესამე სტრატეგიული მიზანი - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები 25

ამოცანა 3.1 ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება 25

ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან ... 26

ამოცანა 3.3. ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება 28

ამოცანა 3.4 სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა... 28

გამოწვევები და რეკომენდაციები 28

მოკლე შეჯამება

წინამდებარე ანგარიშში შეჯამებულია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წწ სტატეგიის 2024-2027 წწ სამოქმედო გეგმის (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) განხორციელების ერთწლიანი პერიოდი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარების, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

სამოქმედო გეგმით, 2025 წელს გათვალისწინებულია 76 აქტივობის შესრულება, რომელიც წარმოდგენილია 84 აქტივობის შედეგის ინდიკატორით. სააანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნული აქტივობებიდან **სრულად განხორციელდა** 22 (29%) აქტივობა, **მეტწილად განხორციელდა** 18 (24%) აქტივობა, **ნაწილობრივ განხორციელდა** 30 აქტივობა (39%), **არ დაწყებულა** 2 აქტივობა (3%), **გაუქმებულია** 1 აქტივობა (1%) და **შეჩერებულია** 3 აქტივობა (4%). სამოქმედო გეგმის მიხედვით, 12 აქტივობა 2024 წელს დასრულდა.

სამოქმედო გეგმით, 2025 წლის განსაზღვრული ბიუჯეტი შეადგენდა **1,286,662,309 ლარს** (ბიუჯეტის ჯამური ალოკაცია შეიცავს დეფიციტს), ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა **1,331,772,001 ლარი,** გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ხარჯით განხორციელდა 7 აქტივობა (9 %).

დაგეგმვის ეტაპზე, აქტივობათა თითქმის 80%-ზე მეტს (73 აქტივობა), პასუხისმგებელი უწყებების მიერ განხორციელების ვადად განსაზღვრული აქვს 2027 წლის მეოთხე კვარტალი.

შესავალი

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია არის ქვეყნის მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებებს და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრად განვითარებას.

სტრატეგიის შემუშავების, განხორციელების და ანგარიშგების პროცესში მთავარი მაკონტროლებელი ორგანოა საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, როგორც საკოორდინაციო მექანიზმი.

წინამდებარე წლიური ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, საქართველოს მთავრობის 20.05.2024 წლის N2665 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს სოფლის მეურნეობისა და

სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის რიგით მეორე 2024-2027 წწ. სამოქმედო გეგმის 2025 წლის განმავლობაში განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 3 მიზანი, 16 ამოცანა და 88 აქტივობა.

სტრატეგიული მიზნები:

მიზანი 1: კონკურენტიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები
მიზანი 2: ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
მიზანი 3: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები.

ამოცანები
<u>კონკურენტიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები</u>

1. სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი;
2. უნიკალურ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებმაც განახორციელეს ინვესტირება აგროსასურსათო მიმართულებით;
3. ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც განახორციელეს ხარისხის/წარმოების საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების ან ხარისხის სქემების დანერგვა/სერტიფიცირება;
4. სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება;
5. ინფრასტრუქტურისა და სერვისებზე ხელმისაწვდომის ზრდა;
6. ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება;
7. სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება.

<u>ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია</u>

8. გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
9. ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
10. ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება;
11. ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;
12. აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;

<u>სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის,ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები</u>

13. ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება;
14. ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან;
15. ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება;
16. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა.

წინამდებარე წლიური ანგარიში შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტის კოორდინაციით, პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი პროგრეს ანგარიშის საფუძველზე.

ზოგადი პროგრესი

წინამდებარე ანგარიში ასახავს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მდგომარეობას 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში. ანგარიშში გაანალიზებულია პასუხისმგებელი უწყებების მიერ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მდგომარეობა.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმით 16 ამოცანა, 88 აქტივობა და 97 აქტივობის შედეგის ინდიკატორია გათვალისწინებული. თუმცა 2025 წელს 76 აქტივობის შესრულებაა დაგეგმილი და საბაზისო მაჩვენებლებთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში პროგრესი შეინიშნება 70 აქტივობის შედეგის ინდიკატორის მიმართებით, ხოლო 5 აქტივობის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელი არ შეცვლილა და 1 აქტივობა გაუქმებულია.

საანგარიშო წლისთვის 22 აქტივობა სრულად განხორციელდა, მეტწილად განხორციელდა 18 აქტივობა, ნაწილობრივ განხორციელდა 30 აქტივობა, არ დაწყებულა 2 აქტივობა, გაუქმებულია 1 აქტივობა და შეჩერებულია 3 აქტივობა.

დიაგრამა 1 - აქტივობების განხორციელება სტატუსების მიხედვით



სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების სტატუსები განსხვავდება **სტრატეგიული მიზნების მიხედვით,** პირველი სტრატეგიული მიზანი ფარავს 7 ამოცანას და 61 აქტივობას, მეორე სტრატეგიული მიზანი 5 ამოცანასა და 16 აქტივობას, ხოლო მესამე სტრატეგიული მიზანი ფარავს 4 ამოცანასა და 11 აქტივობას.

პირველი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში, 2025 წელს, 17 აქტივობა სრულად განხორციელდა, 9 აქტივობა განხორციელდა მეტწილად, ნაწილობრივ განხორციელდა 24 აქტივობა, შეჩერებულია 3 აქტივობა (1.2.1.9 ეკონომიურად არააქტიური ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ინტეგრირების მიზნით, მათთვის სასათბურე მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსება (საპილოტე პროგრამა ქალებისთვის); 1.2.1.10 ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ჩართულობით, რეგიონებში როგორც არსებული ასევე "Startup" მცირე და საშუალო ბიზნესების თანადაფინანსება; 1.5.1.2 საჯარო სკოლების მშენებლობა) და გაუქმებულია 1 აქტივობა (1.4.1.1. მცირე და მიკრო მეწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გრანტი გაცემულია სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდა მეწარმეებზე).

მეორე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში, 2025 წელს განხორციელდა 4 აქტივობა, მეტწილად განხორციელდა 2 აქტივობა, ნაწილობრივ განხორციელდა 3 აქტივობა, 2 აქტივობა არ დაწყებულა (2.1.1.2 სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა და ხელშეწყობა და 2.1.1.4 კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების, მათ შორის სასწავლო კურსების განხორციელება).

მესამე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში, 2025 წელს განხორციელდა 1 აქტივობა, მეტწილად განხორციელდა 7 აქტივობა, ნაწილობრივ განხორციელდა 3 აქტივობა.

დიაგრამა 2 - აქტივობის სტატუსები სტრატეგიული მიზნების ჭრილში



რაც შეეხება სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების სტატუსებს პასუხისმგებელი უწყებების ჭრილში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებლობას მიკუთვნებულ 56 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 12 აქტივობა, მეტწილად განხორციელდა 14 აქტივობა, ნაწილობრივ განხორციელდა 26 აქტივობა, არ დაწყებულა 2 აქტივობა (2.1.1.2 სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა და ხელშეწყობა; 2.1.1.4 კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების, მათ შორის სასწავლო კურსების განხორციელება) და შეჩერებულია 2 აქტივობა (1.2.1.9 ეკონომიურად არააქტიური ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ინტეგრირების მიზნით, მათთვის სასათბურე მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსება (საპილოტე პროგრამა ქალებისთვის; 1.2.1.10 ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ჩართულობით, რეგიონებში როგორც არსებული ასევე "Startup" მცირე და საშუალო ბიზნესების თანადაფინანსება).

საქართველოს ეკონიმიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტროს პასუხისმგებლობას მიკუთვნეული 7 აქტივობიდან - სრულად განხორციელდა 2 აქტივობა, მეტწილად განხორციელდა 1 აქტივობა, ნაწილობრივ განხორციელდა 3 აქტივობა და გაუქმდა 1 აქტივობა (1.4.1.1 მცირე და მიკრო მეწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გრანტი გაცემულია სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდა მეწარმეებზე).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პასუხისმგებლობას მიკუთვნებული 9 აქტივობიდან - 5 აქტივობა სრულად განხორციელდა, მეტწილად განხორციელდა 3 აქტივობა და შეჩერებულია 1 აქტივობა (1.5.1.2 საჯარო სკოლების მშენებლობა).

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს (პარტნიორი უწყება საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო) პასუხისმგებლობას მიკუთვნებულ 4 აქტივობიდან - 3 აქტივობა განხორციელდა სრულად, მეტწილად განხორციელდა 1 აქტივობა.

პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით აქტივობების განხორციელების პროგრესი მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

დიაგრამა 3 - აქტივობების განხორციელების სტატუსები პასუხისმგებელი უწყებების ჭრილში



MEPA- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MOI – საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
MESY – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
MOESD - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2025 წლისთვის სამოქმედო გეგმის მიხედვით განისაზღვრა ბიუჯეტი **1,286,662,309** ლარი და საანგარიშო წლის ბოლის ბიუჯეტის შესრულებამ შეადგენა **1,331,772,001** ლარი.

ბიუჯეტის შესრულება განსხვავდება, როგორც სტრატეგიული მიზნების მიხედვით, ასევე, პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით.

პირველი სტრატეგიული მიზანი ფარავს 7 ამოცანას 54 აქტივობას, გამომდინარე აქედან, დაგეგმილი ბიუჯეტის ყველაზე მეტი შესრულება პირველი მიზნის ფარგლებში განხორციელდა და შეადგენს **1,226,644,531** ლარს, **მეორე სტრატეგიული მიზანი** მოიცავს 5

ამოცანას და 11 აქტივობას ბიუჯეტის შესრულება შეადგენს **48,947,977** ლარს, ხოლო მესამე სტრატეგიულ მიზანი 4 ამოცანასა და 11 აქტივობას ფარავს და ბიუჯეტმა შედგინა **56,179,493** ლარი.

დიაგრამა 4 - 2025 წელს ბიუჯეტის შესრულება 3 სტრატეგიული მიზნის მიხედვით



რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულებას პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით, დაგეგმილი 76 აქტივობიდან 56 აქტივობა ეკუთვნის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 559,844,945 ლარს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა სამინისტროს (პარტნიორი უწყება საქართველოს ინფრასტუქტურის სამინისტრო) პასუხისმგებლობას მიკუთვლებულია 4 აქტივობა და 2025 წელს ბიუჯეტის შესრულება შეადგინა 577,290,506 ლარი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქვს 9 აქტივობა და ბიუჯეტი 171,180,460 ლარი, ხოლო საქართველოს ეკონომიკსა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სამოქმედო გეგმის მიხედვით შესარულებელი 7 აქტივობის განხორციელებისას ბიუჯეტმა შეადგინა 23,456,090 ლარი.

დიაგრამა 5 – 2025 წლის ბიუჯეტის შესრულება სამინისტროების მიხედვით



დეტალური პროგრესი

პირველი სტრატეგიული მიზანი - კონკურენტიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები

პირველი სტრატეგიული მიზანის კონკურენტიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 7 ამოცანა და 61 აქტივობა, რომელზეც პასუხისმგებელ სამინისტროებს წარმოადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს,საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი უწყებები.

ამოცანა 1.1: ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა

ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის, ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფად, 2025 წლის მდგომარეობით, 9 რეგიონული სამსახურისა და 45 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ საერთო ჯამში, 2024 წლიდან გაწეულ იქნა 54,178 კონსულტაცია. საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 69,924 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). სოფლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან 1 980 საინფორმაციო - საექსტენციო შეხვედრა ჩატარდა.

საანგარიშო წლის განმავლობაში, დარგის ექსპერტების, მეთოდოლოგიური მხარდაჭერის სპეციალისტების, დარგობრივი ორგანიზაციების, კერძო კომპანიების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების აქტიური ჩართულობით, შემუშავდა/განვითარდა/განახლდა სხვადასხვა სფეროს 46 პროფესიული კვალიფიკაცია. განხორციელებული საქმიანობის შედეგად, 2025 წლის მდგომარეობით, ჯამში შემუშავდა/განახლდა 131 პროფესიული კვალიფიკაცია, მათ შორის დამტკიცდა 85. აღსანიშნავია, რომ პროფესიული კვალიფიკაციები ყველა ეკონომიკურ სექტორში განახლებულია და ზოგიერთ სექტორში შემუშავებულია ახალი კვალიფიკაციები. სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით ჯამში შემუშავებულია/განახლებულია 25 პროფესიული კვალიფიკაცია.

სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 9%-ით, რაც ინდიკატორით განსაზღვრულ 10%-იან მიზანს მნიშვნელოვნად უახლოვდება. 2025 წლის ორივე მიღების ფარგლებში, აღნიშნულ პროგრამებზე ჯამურად ჩაირიცხა 1 719 პირი, მათ შორის სოფლის მეურნეობის მიმართულებით - 804, ხოლო გარემოს დაცვის მიმართულებით - 915. შედარებისთვის, 2024 წელს ამ მიმართულებებზე ჩაირიცხა 1 580 პირი, მათ შორის სოფლის მეურნეობის მიმართულებით - 814, ხოლო გარემოს დაცვის მიმართულებით - 766.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, 2025 წელს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩაირიცხა 1 764 პირი, რაც 2024 წლის მაჩვენებელთან (1 384 პირი) შედარებით აღემატება 10%-იან ზრდას. აღნიშნულის შედეგად, ინდიკატორი სრულად შესრულებულია.

2025 წლის მდგომარეობით, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა. პროგრამები ხორციელდება ქვეყნის 11 რეგიონში, რის შედეგადაც ინდიკატორი სრულად შესრულებულია.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, 2025 წლის ბოლოსთვის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით ფიქსირდება 277 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რაც 2024 წლის მაჩვენებელთან (89 პროგრამა) შედარებით მნიშვნელოვნად აღემატება ინდიკატორით განსაზღვრულ 50%-იან ზრდას. აღნიშნულის შედეგად, ინდიკატორი სრულად შესრულებულია.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების შესაბამისად, პროფესიული განათლების სისტემაში ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით.

საანგარიშო პერიოდში, სოფლის მეურნეობისა და გარემოსდაცვითი პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით, კერძო სექტორის ჩართულობით, 24 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებაში განხორციელდა 40-მდე საინფორმაციო შეხვედრა.

2025 წლის განმავლობაში, გაგრძელდა სამუშაოები იმ მუნიციპალიტეტების დაფარვისათვის, რომელშიც ჯერ არ ფუნქციონირებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. ხაშურში დაფუძნებულმა კოლეჯმა „ქართლი“ 2025 წელს მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ავტორიზაცია, ხოლო ბორჯომში დაფუძნდა სსიპ კოლეჯი „თორი“, რომელიც გათვლილია 250 პროფესიულ სტუდენტზე. ამასთან, დასრულდა ახალი კოლეჯის მშენებლობა ბოლნისში და დაიწყო კოლეჯის დაფუძნების პროცედურები, ხოლო გურჯაანში გაგრძელდა სამშენებლო სამუშაოები, რის გათვალისწინებითაც აქტივობა მეტწილად განხორციელებულია.

საანგარიშო პერიოდში, გაფართოვდა პროფესიული პროგრამების ხელმისაწვდომობა საჯარო სკოლებში. 2025 წელს პროფესიული სტუდენტების პირველი ნაკადი დამატებით 63-მა საჯარო სკოლამ მიიღო, რის შედეგადაც პროფესიული განათლება დამატებით 8 მუნიციპალიტეტში გახდა ხელმისაწვდომი. ჯამში, 2025 წლის ბოლოსთვის, პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია 83 საჯარო სკოლაში, რის შედეგადაც ინდიკატორი სრულად შესრულებულია. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სწავლის შედეგები.

ამასთან, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, 4-მა საჯარო სკოლამ მოიპოვა პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება, ხოლო 11 საჯარო სკოლაში დაიწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე,მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომმობის უზრუნველყოფა

2025 წლის მდგომარეობით,**აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების (შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი**) ფარგლებში 9,004 უნიკალურ ბენეფიციარზე ბანკების მიერ გაიცა 1,913,908,714 ლარის ღირებულების 11,749 სესხი, **განხორციელდა 60,692 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება** (წლების ჭრილში უნიკალური), რამაც შეადგინა 460,766,462 ლარი.

სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, აგროდაზღვევის განვითარების მიზნით, 2025 წლის მდგომარეობით 11,746 უნიკალურ დამზღვევზე/ბენეფიციარზე სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემულია 28,509 პოლისი. დაზღვეულ იქნა 361,629,373 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. **დაზღვეულია 32,809 ჰა მიწის ფართობი.** ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 39,533,863 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა (სააგენტოს პრემიის წილი) 27,673,704 ლარი. ანაზღაურებული ზარალის ოდენობამ შეადგინა 8,569,480 ლარი.

თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენება/დაკონტრაქტება (პროგრამა „დანერგე მომავალი“) 01.01.2024 - 31.12.2025-ს პერიოდში:818 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 1 013 ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობმა შეადგინა 5,441.7 ჰა. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 96,379,392 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებაა 44,293,516 ლარი. **აქედან ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებულმა ფართობმა შეადგინა 4,668.3 ჰა.**

ქართული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია (ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა) 01.01.2024 – 31.12.2025-ს პერიოდში: ხელშეკრულება გაუფორმდა 4 ბენეფიციარს, **რეაბილიტირებულია 294.83 ჰა პლანტაციების ფართობი,** რეაბილიტაციის ჯამური ღირებულებამ შეადგინა 1,094,229 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 737,085 ლარს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება 01.01.2024 – 31.12.2025-ს პერიოდში:გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში 16 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 16 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 18,886,809 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 6,114,349 ლარი; შემნახველი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში 15 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 15 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 18,825,106 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებაა 5,247,400 ლარი; **სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 73 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა (წლების ჭრილში უნიკალური).**

01.01.2024 – 31.12.2025-ს პერიოდში: **,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის"** ფარგლებში: 3 უნიკალურ ბენეფიციარს/კოოპერატივს გაუფორმდა 3 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 1,238,417 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 750,000 **ლარი; "მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის"** ფარგლებში: 4 უნიკალურ ბენეფიციარს/კოოპერატივს გაუფორმდა 4 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 66,000 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 52,800 ლარი; **11 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს დაუფინანსდა პროდუქციის შემნახველი/სასაწყობე და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა.**

01.01.2024 – 31.12.2025-ს პერიოდში: **,,სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის“** ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 225 ბენეფიციართან გაფორმდა 234 ხელშეკრულება, 278 ერთეული მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენაზე. პროექტების ჯამური ინვესტიციამ შეადგინა 57,380,258 ლარი, საიდანაც ა(ა)იპ სოფის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 15,947,916 ლარი. **საანგარიშო პერიოდში 190 ბენეფიციარს სრულად/ნაწილობრივ თანადაუფინანსდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა (წლების ჭრილში უნიკალური);** „მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 3,588 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 3,588

ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 7,368,777 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 4,953,590 ლარი. **განხორციელდა 3,546 მოტობლოკის შეძენის თანადაფინანსება.**

ეკონომიურად არააქტიური ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ინტეგრირების მიზნით, მათთვის სასათბურე მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსება და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ჩართულობით, რეგიონებში როგორც არსებული ასევე "Startup" მცირე და საშუალო ბიზნესების თანადაფინანსება არ განხორციელებულა.(საპილოტე პროგრამა ქალებისთვის) 2025 წლის მდგომარეობით ზემოაღნიშნული ორი აქტივობა შეჩერებულია.

01.01.2024 – 31.12.2025-ს პერიოდში: **თხილის ბაღების მესაკუთრეების ან/და მფლობელებისთვის, თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირების** ფარგლებში ქულა დაერიცხა 124,237 უნიკალურ ბენეფიციარს (მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობაა 200,443) - წლების ჭრილში უნიკალური. სუბსიდირებულმა ფართობმა შეადგინა 87,194 ჰა. დარიცხული ქულების ოდენობაა 42,130,870 ლარი.

01.01.2024 – 31.12.2025-ს პერიოდში:**კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისა და იმპლიმენტის შეძენის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში** 110 უნიკალურ სასოფლო/სამეურნეო კოოპერატივს გაუფორმდა 132 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 11,686,555 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 5,758,894 ლარი. გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია 443 ერთეული ტექნიკის შეძენა. **განხორციელდა 110 ბენეფიცარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და იმპლიმენტის შეძენის თანადაფინანსება (წლების ჭრილში უნიკალური).**

2025 წელს **ორ საპილოტე რეგიონში (შიდა ქართლი, კახეთი)** მიმდინარეობდა დამონტაჟებული მეტეოროლოგიური სადგურების ექსპუატაციის ოპტიმიზაცია და შესაბამისი აპლიკაციის გაშვება.

2025 წელს**ბიო წარმოების ზრდის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში** ა(ა)იპ სოფლის განვითარების **სააგენტოს თანადაფინანსება მიიღო 21-მა ბენეფიციარმა.** ხელშეკრულება გაფორმდა 4 ბენეფიციართან, ჯამური თანხით - 51,436 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა - 36,006 ლარი.

ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსების ფარგლებში, 2025 წლის განმავლობაში, **განხორციელებულია 789 ისეთი სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება,** რომელიც მოემსახურება ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას. მუნიციპალიტეტებისა და სქესის მიხედვით (კომპანიის მფლობელობის წილი - თანაბარი/50%-ზე მეტი).

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება/გაფართოების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსების ფარგლებში, 2025 წლის განმავლობაში, **განხორციელებულია 160 ისეთი სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება,** რომელიც

მოემსახურება ახალი ან არსებული სასტუმროს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას. მუნიციპალიტეტებისა და სქესის მიხედვით (კომპანიის მფლობელობის წილი - თანაბარი/50%-ზე მეტი).

ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით,**კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობისთანადაფინასების მიზნით,** 2025 წლის განმავლობაში, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" მხრიდან, **104-ჯერ დაფინანსდა 58 აგროპროდუქტების** მწარმოებელი კომპანიის **6 საერთაშორისო ღონისძიებაში** მონაწილეობა.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევა საქართველოში დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში მომზადდა „საძოვრების მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის“ საფუძველზე საქართველოს კანონის პროექტი „საძოვრების მართვის შესახებ“, რომელშიც ასახულია საძოვრების მდგრადი მართვის საერთაშორისო პრინციპები და ინტეგრირებულია ეროვნულ რეალობასა და ტრადიციებთან. 2025 წელს დასრულდა მუშაობა „საძოვრების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე და გადაიგზავნა საქართველოს მთავრობაში განსახილველად.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში: 2024 წელს იჯარით გაცემას დაექვემდებარა 13 230 ჰა., ამასთან გაფორმებული იყო 89 იჯარის ხელშეკრულება საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით **9 395ჰა**. ხოლო, 2025 წელს იჯარით გაცემას დაექვემდებარა **4 287 ჰა**. ფართობის საძოვარი, ამასთან გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება 30 საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით 2 945 ჰა. **სულ ჯამში: 13 682 ჰა.**

ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის ფარგლებში "ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 2თებერვლის N2-66 ბრძანების საფუძველზე: 2024 წელს ინვენტარიზებულ იქნა **2 685 ჰა,** ხოლო, 2025 წელს ინვენტარიზებულია **5 372 ჰა** ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლი მცხეთის, გორის, ხაშურის, თიანეთის, ბორჯომის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ახმეტის, სიღნაღისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში. **სულ ჯამში: 8 055 ჰა.**

ფერმერული მეურნეობისა და კოოპერატივების მხარდაჭერის მიზნით, 2025 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი ტრენინგები, რომლის ფარგლებში ჯამში **548 პირი** მონაწილეობდა:

1. სწავლების მეთოდები და სასწავლო რესურსები (TLM) — 68 მონაწილე;
2. აგრარული ცოდნისა და ინოვაციების ხელშეწყობა - 39 მონაწილე;
3.ქარსაფარი ზოლების მართვა და მენეჯმენტი - 140 მონაწილე;
4.სასწავლო ტრენინგ-ტური აგრარული მიმართულებით - 25 მონაწილე;
5.მესაქონლეობის ფერმის მართვა და მენეჯმენტი — GEOGAP-ის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად - 170 მონაწილე;

6.კივის წარმოების აგროტექნოლოგია - 29 მონაწილე;
7. N2; N5; N8; N10; N15; N17 პენიტენციური დაწესებულებების მსჯავრდებულებისთვის კენკროვანი კულტურების აგროტექნოლოგია — ჟოლოსა და მარწყვის მოვლა-მოყვანის, მეფუტკრეობის, მეხილეობის — მსხლისა და ვაშლის კულტურების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების ტრენინგები - 77 მონაწილე.

ამოცანა 1.3: ფერმერთა / მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია

ფერმერების თანადაფინანსება სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სერთიფიცირებისა და ბრენდირების მიზნით, 2025 წელს 34 ბენეფიციარის მიერ დანერგილია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი და 17 ბენეფიციარის მიერ ბრენდირებულია კომპანია/პროდუქცია. გაფორმდა 43 ახალი ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 762,549 ლარი, საიდანაც ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 402,672 ლარს.

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებების მოწყობის მიზნით, 2025 წელს პერიოდში **მოეწყო 10 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება**: 1. გერმანია, ბერლინი - International Green Week;, 2. გერმანია, ბერლინი - FRUIT LOGISTICA;, 3. იაპონია, ტოკიო - Foodex Japan;, 4. აზერბაიჯანი, ბაქო - CASPIAN AGRO;, 5. ნიდერლანდების სამეფო, ამსტერდამი - Amsterdam Private Label Trade Show;, 6. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, შენჭენი - Sial Shenzhen;, 7. საუდის არაბეთის სამეფო, რიადი - Foodex Saudi;, 8. ესპანეთის სამეფო, მადრიდი - Fruit Attraction., 9. აშშ, ჩიკაგო, ილინოისის შტატი - U.S. Private Label Show,10. თელავი, 26 მაისი - დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება.

ხარისხის სქემების განვითარება და მხარდაჭერის ფარგლებში, **გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსი** 2025 წელს, მიენიჭა და საქპატენტის მიერ დარეგისტრირდა „საქართველოს თიანეთის ტრადიციული ლუდი“ და „რაჭული ლორი“. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა გეოგრაფიული აღნიშვნების **2 სპეციფიკაცია.**

აგრო-სასრუსათო პროდუქციის მწარმოებელთა ბაზარზე ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, ხარისხი ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების მიზნით, მუშაობა მიმდინარეობდა **სამ ბიზნეს ოპერატორთან**, რათა მოხდეს მათ მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. **ერთ ბიზნეს** ოპერატორს მიენიჭა ორი ხარისხის ნიშნის „ქართული ხარისხი“ და „მთის პროდუქტი“ გამოყენების უფლება. **2025 წელს შემუშავდა** „შინაური ბინადარი ცხოველისა და სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვების ექსპორტის საინფორმაციო გზამკვლევი“, „ჩაის ექსპორტის გზამკვლევი“ და „თევზის ზეთის, ფქვილის და თევზის საკვების ექსპორტის გზამკვლევი“ დასრულდა მუშაობა და აიტვირთა ვებ გვერდზე.
ბაზარზე წარმოდგენილი ღვინის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ინსპექტირების, სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო ზედამხედველობის ფარგლებში ინსპექტირება განხორციელდა 281 კომპანიაში, აღებული იქნა 2521 ალკოჰოლური სასმელის ნიმუში. აქედან დარღვევა აღმოჩნდა 19 კომპანიის 36 ნიმუშში.

შიდა ბაზრის კონტროლი განხორციელდა 13 კომპანიის პროდუქციაზე; აღებული იქნა 26 ნიმუში. **2024-2025 წწ. ჯამში აღებულია 5197 ალკოჰოლური სასმელის ნიმუში.**

ქართული ღვინო პროდუქციის პოპულარიზაციის მხრადაჭერისის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების **58-მდე გამოფენ**ა - ფესტივალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღო 250-მა ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ. ქართული ღვინის **322 დეგუსტაცია** - პრეზენტაცია გაიმართა. ჩატარდა 1**8 ღვინის ტური**.

საქართველოს მევენახეობის ზონებოს კადასტრის სრულყოფისთვის პროგრამის ფარგლებში ვენახების შესახებ საკადასტრო მონაცემების განახლება მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში - სულ გაიცა 5 151 ვენახის ამონაწერი. სულ გადამოწმდა 220 მევენახის 372 ნაკვეთი. გადაღებულ იქნა 3 000 ჰა ვენახის ორთოფოტოები. **2024-2025 წწ. განახლებულ იქნა 13 000 ჰა ფართობი.**

სანგარიშო პერიოდში, **ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების** აქტივობის ფარგლებში 4 ქვეყანაში დაცული იქნა ქართული ღვინის კოლექტიური დასახელება „ალაზნის ველი“, დარეგისტრირდა 4 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის სპეციფიკაცია - „ობჩა“, „ლეჩხუმი“, „რაჭა“, „საზანოს ოცხანური“.

საანგარიშო პერიოდში, **ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფის** აქტივობის ფარგლებში, განხორციელდა 45-მდე ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით.

ამოცანა 1.4: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება

მცირე და მიკრო მეწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა **მცირე და მიკრო მეწარმოების ხელშეწყობის პროგრამის რედიზაინი** და 2024 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა "მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა". პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარებისთვის მიკრო (20,000₾-50,000₾) სესხების შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთის პირობებში გაცემას და სსიპ აწარმოე საქართველოს მიერ, 80%-მდე საკრედიტო გარანტიით უზრუნველყოფას. ამასთან, ქალი მეწარმეებისთვის, მაღალმთიან დასახლებებში არსებული ბიზნესებისთვისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროექტ "მზის კარის" ბენეფიციარებისთვის, დამატებით, გათვალისწინებულია სესხის პროცენტის სუბსიდირების კომპონენტიც, ხოლო "მზის კარის" ბენეფიციარებს ასევე, შეუძლიათ, სრულად ათვისებული სესხის 25% გრანტის სახით მიიღონ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, არ ხდება ახალგაზრდა ბენეფიციარების სტატისტიკის აღრიცხვა.

ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურისა და სერვისებზე ხელმისაწვდომის ზრდა

2025 წელს**ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროგრამაში(ფერმერთა რეესტრში) დარეგისტრირდა 12,352 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა.**

საჯარო სკოლების მშენებლობა 2025 წელს არ განხორციელებულა, რადგან სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (ესიდა) ლიკვიდაციის შემდგომ, საქართველოს მთავრობის N302 დადგენილების შესაბამისად, ფუნქციები განაწილდა შემდეგ სამინისტროებში: 1) საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა: ახალი შენობების მშენებლობა და შენობების სრული რეაბილიტაცია, 2) საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს დაევალა: შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

რაც შეეხება **საჯარო სკოლების სრულ რეაბილიტაციას** საანგარიშო პერიოდში, დასრულდა 55 საჯარო სკოლის სრული მშენებლობა/რეაბილიტაცია. 2024 წელს დასრულდა 42 საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო რეაბილიტაცია რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა 44 საჯარო სკოლაში.

საჯარო სკოლების ინვენტარით აღჭურვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, 135 სკოლას გადაეცა საოფისე ავეჯი; 170 სკოლას გადაეცა სასკოლო მერხები და სკამები; 130 სკოლას გადაეცა სასკოლო დაფები.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაგებული ან/და რეაბილიტირებული გზის საფარმა საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, დასრულდა 609 კმ საგზაო საფარის დაგებასთან/ რეაბილიტაციასთან დაკავშირებული 220.6 მლნ ლარის სამუშაოები. ვინაიდან წინა წლებთან შედარებით წარმოდგენილი იყო უფრო მეტი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროექტი, მოხდა დაგეგმილი ბიუჯეტისა და ინდიკატორების ორმაგი და მეტი გადაჭარბებით შესრულება.

საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციის ფარგლებში საანგარიშო პერიოდის მონაცემებით დასრულდა 133.0 მლნ. ლარის 56 საბავშვო ბაღის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები (სულ: მგფ - 54 ობიექტი. რეგი - 2 ობიექტი). ბოლო წლებში საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/განახლებასთან დაკავშირებული სამუშაოები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს რეგიონული განვითარების "შპს მუნიციპალური განვითარების ფონდის" მიერ. სამუშაოები მიმდინარეობდა გეგმაზომიერად და საბოლოო ინდიკატორის (205 საბავშვო ბაღი) მიღწევა დაგეგმილია მეომდევნო 3 წლის განმავლობაში.

სპორტული, კულტურის და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მშერნებლობის/რეაბილიტაციის ფარგლებში საანგარიშო პერიოდის მონაცემებით დასრულდა 12.4 მლნ ლარის 65 სპორტული, კულტურის და რეკრეაციული ობიექტის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები. აქტივობასთან დაკავშირებული სამუშაოები ძირითადად განხორციელდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში და შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების ტიპის შერჩევაზე პასუხისმგებელი არიან უშუალოდ მუნიციპალიტეტები. ვინაიდან წინა წლებთან შედარებით წარმოდგენილი იყო უფრო მეტი პროექტი, მოხდა დაგეგმილი ბიუჯეტისა და ინდიკატორების გადაჭარბებით შესრულება.

წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაციის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდის მონაცემებით დასრულდა 211.3 მლნ ლარის 29 წყალმომარაგებასა და

წყალარინებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტი (სულ: წყლის კომპანია - 10 პროექტი. რეგი - 19 პროექტი). წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სამუშაოები განხორციელდა როგორც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ასევე საქართველოს რეგიონული განვითარების "შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ, შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების ტიპის შერჩევაზე პასუხისმგებელი ძირითადად არიან უშუალოდ მუნიციპალიტეტები. ვინაიდან წინა წლებთან შედარებით წარმოდგენილი იყო უფრო მეტი პროექტი, მოხდა დაგეგმილი ბიუჯეტისა და ინდიკატორების გადაჭარბებით შესრულება.

ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის ფარგლებში, 2025 წელს: რეგულარულ სარწყავში გადაყვანილი მიწის ფართობი - 1,907 ჰაშეადგენს ხოლო სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა - 10,757 ჰა. 2024-2025 წელს ჯამში: რეგულარულ სარწყავში გადაყვანილი მიწის ფართობი არის - 6,373 ჰა და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა - 19,222 ჰა.

შერჩეულ საირიგაციო და სადრენაჟე სისტემებზე ირიგაციის გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო პერიოდში, კომპანია „Yooshin Engineering Corporation“-მა მოამზადა წინასწარი საპროექტო დოკუმენტაცია ტირიფონის, ტაშისკარის, ქვემო სამგორის, ზედა არხის, ნარეკვავისა და შავღელის სიტემებზე. მომზადდა საპროექტო/სატენდერო დოკუმენტაცია შავღელის სადრენაჟო მასივის რეაბილიტაციისა და ნარეკვავის წყალსაცავისთვის ამოსატუმბი მოწყობილობის შეძენა-დამონტაჟებისთვის. გამოცხადდა ტენდერი აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად.

შერჩეულ საირიგაციო და სადრენაჟე სისტემებზე ადგილობრივი ფერმერების ფინანსური დახმარების მიზნით, სანგარიშო პერიოდში, საგრანტო სახელმძღვანელოს მიხედვით გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, 2025 წლის 28 აპრილს. საგრანტო წინადადებების მიღების პირველი რაუნდისთვის გამოყოფილია 1,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით თანხა, თანხის 67% მოდის ზედა რუს სარწყავი არხისთვის, დანარჩენი 33% კი - ქვემო სამგორის არხზე დამოკიდებულ მიწის ნაკვეთების მფლობელი ფერმერებისთვის.საგრანტო კონკურსის შედეგად, დამტკიცებულია და საგრანტო ხელშეკრულება გაუფორმდა 442 ბენეფიციარს. გაცემულია 290 გრანტი. გამარჯვებულ საგრანტო განაცხადებს შორის არის აგრომეტეოროლოგიური სადგური, დაწვიმებითი სარწყავი სისტემა, სასათბურე მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მისაბმელ(ებ)ი, წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

ილტოს ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების და 5 წყალსაცავის კაშხლების უსაფრთხოების შეფასებისთვის საანგარიშო პერიოდში, კომპანია „NFB“-მა მოამზადა კაშხლების (ნარეკვავის, პანტიანის, მთისძირის, ხორხორის და იაკუბლოს) უსაფრთხოების შეფასების შესახებ ანგარიშის სამუშაო ვერსია. ასევე, მომზადდა ილტოს წყალსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტის

სამუშაო ვერსია. ილტოს წყალსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საბოლოო ვერსიის შემუშავებისთვის, მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკისა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ შენიშვნა/კომენტარების გათვალისწინება და ანგარიშის განახლება.

ქვემო სამგორის საირიგაციო და სადრენაჟე სისტემის ირიგაციის გაუმჯობესების მიზნით, 2025 წელს გაფორმდა ხელშეკრულება კომპანიასთან DOLSAR Engineering Inc. Co.(თურქეთი). მომზადდა 6 თვის გარემოს დაცვისა მონიტორინგის ანგარიში. დაიწყო მაგისტრალური არხის პირველი მონაკვეთისთვის სამუშაოთა შესყიდვის დოკუმენტაციის მომზადება; ასევე, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება 1, 2, 3 და 4 არეალებისთვის.

ზემო სამგორის საირიგაციო და სადრენაჟე სისტემის ირიგაციის გაუმჯობესების მიზნით, 2025 წლის IV კვარტალში ჩატარდა ინტერესთა გამოკითხვა დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადებასა და საზედამხედველო (პირველადი და მეორადი) მომსახურების შესყიდვაზე. მიღებული იქნა 12 პოტენციური პრეტენდენტის წინადადება. მიმდინარეობდა შერჩევა-შეფასების პროცესი.

ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება

2025 წლის მდგომარეობით, სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარების მიზნით, გეგმის მიხედვით განხორციელდა 4 პროექტი. მათ შორის, საანგარიშო პერიოდში, მომზადდა 2 პროექტი:

1. პროექტი **„ღვინის გზა“** – სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პროექტ „ღვინის გზის“ ფარგლებში, 14 ახალ ობიექტს დაუმონტაჟა საგზაო მანიშნებლები შემდეგ რეგიონებში: შიდა ქართლი (2 მარანი და 1 საწარმო), კახეთი (3 მარანი), მცხეთა–მთიანეთი (2 მარანი), ქვემო ქართლი (1 მარანი), იმერეთი (1 მარანი და 1 საწარმო), სამეგრელო (1 მარანი), აჭარა (1 კომპლექსი), რაჭა–ლეჩხუმი (1 მარანი).

2. **სამთო საფეხმავლო ბილიკები** – მოინიშნა 12 ტურისტული ბილიკი, ჯამური სიგრძით 74,4 კმ, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა–მთიანეთის, იმერეთის, ქვემო ქართლის რეგიონებსა და თბილისის შემოგარენში.

2025 წლის მდგომარეობით, გეგმის მიხედვით მომზადდა 2 პროექტი. მათ შორის, საანგარიშო პერიოდში მომზადდა ღვინის გზის მასპინძელი 14 ახალი ობიექტისთვის საპროექტო დოკუმენტაცია. ობიექტები გადანაწილებულია შემდეგ რეგიონებში: შიდა ქართლი, კახეთი, მცხეთა–მთიანეთი, ქვემო ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, რაჭა–ლეჩხუმი.

ჯამურად 2024-2025 წლებში, **კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა)** გეგმის მიხედვით, გადამზადდა 1 600 ადამიანი. მათ შორის, საანგარიშო პერიოში, გადამზადებულია 800 ადამიანი:

- „საოჯახო სასტუმროს მართვა და მომსახურების უნარ-ჩვევები“ - ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი. გადამზადდა ტურიზმის სექტორში დასაქმებული 82 პირი;

- „ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა“ - ქ. თბილისი, ქ. გორი, ქ. ქუთაისი, ქ. წყალტუბო, ქ. ამბროლაური, ქ. თელავი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ახალციხე, თეთრიწყარო. გადამზადდა ტურიზმის სექტორში დასაქმებული 270-მდე წარმომადგენელი;
- „მარკეტინგი და გაყიდვები“ - ქ.თბილისი, ქ. გორი, ქ. ქუთაისი, ქ. წყალტუბო, ქ. ამბროლაური, ქ. თელავი, ქ. ოზურგეთი, ქ. ახალციხე, ქ. თეთრიწყარო. პროექტის ფარგლებში გადამზადდა ტურიზმის სექტორში დასაქმებული 180 ადამიანი;
- „გიდის პროფესიული უნარები, რეგიონალური ტურიზმის დაგეგმარება და პიროვნული ზრდა“ - ქ. ახალციხე, გადამზადდა 26 გიდი;
- „რეგიონალური ტურიზმის განვითარება, პიროვნული ზრდა და გიდის პროფესიული უნარები“ - ქ. ქუთაისი, გადამზადდა 24 გიდი; დმანისის მუნიციპალიტეტი, გადამზადდა 20 გიდი;
- Ferrandi Paris-ის კულინარიულ სკოლაში გადამზადების პროგრამის (Tailored culinary training program) ფარგლებში გადამზადდა 10 მზარეული;
- „სასტუმროებში საერთაშორისო სტანდარტის ნორმების დანერგვა“ - ქ.ქუთაისი, დაესწრო 12 სასტუმროს წარმომადგენელი;
- საერთაშორისო ექსპერტის მიერ ქ. თბილისში ჩატარდა ტურ-ოპერატორების ვორქშოპი და გადამზადდა ტურიზმის სექტორში დასაქმებული 150-მდე პირი;

მეორე სტრატეგიული მიზანი - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია

მეორე სტრატეგეგიული მიზანი - **ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია** მოიცავს **5 ამოცანასა** და **16 აქტივობას,** რომელზეც პასუხისმგებლობა ეკუთვნის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ შესაბამის დეპარტამენტებსა და სააგენტოებს.

ამოცანა 2.1. გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გაძლიერება წარმოადგენს უფრო ფართო პროექტის ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების შესწავლას და მომავალი ქმედებების განსაზღვრას აღნიშნული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება ეროვნული ადაპტაციის გეგმის (NAP) შემუშავება, რომლის ნაწილადაც მოიაზრება სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ადაპტაციის გეგმის შემუშავება. 2024 წელს პროექტმა გაიარა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები, რის შედეგადაც საქართველოს მთავრობისგან მიღებულ იქნა თანხმობა პროექტის დაწყების შესახებ. 2025 წელს შემუშავდა პროექტის ტექნიკური დავალება და გამოცხადა ტენდერი პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის შესარჩევად. მაგრამ ვინაიდან პროექტი ჯერ არ დაწყებულა, შესაბამისად აღნიშნული ქმედება არ შესრულდა და არც კლიმატგონივრული

სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, მათ შორის სასწავლო კურსებიც არ განხორციელებულა 2025 წელს.

ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, დასრულებული პროექტებია (14 დაცულ ტერიტორიაზე):

- პრომეთეს მღვიმეში ვიზიტორთა მომსახურების ახალი სისტემის დანერგვის მიზნით მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა (საინფორმაციო, საინტერპრეტაციო, უსაფრთხოების დაფები);
- ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განახლდა არსებული საინფორმაციო დაფები (საინტერპრეტაციო, მიმართულების მანიშნებელი, საგზაო), ასევე 10 ლოკაციაზე დამონტაჟდა სასმელი წყლის მიმართულებისა და დისტანციის მანიშნებელი ახალი დაფები. არწივის ხეობის ბუნების ძეგლზე განხორციელდა ბილიკის ბარიერების რეაბილიტაცია;
- მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლზე მოეწყო საგამოფენო სივრცე, განახლდა და დაემატა საინფორმაციო, საინტერპრეტაციო, ამკრძალავი, გამაფრთხილებელი, საგზაო მიმართულების მანიშნებლები; მარტვილის კანიონის მიმდებარედ დასრულდა კაფეტერიის მშენებლობა;
- ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლის ტერიტორიებზე განახლდა და დაემატა საინფორმაციო, საინტერპრეტაციო, ამკრძალავი, გამაფრთხილებელი, საგზაო მიმართულების მანიშნებლები; ოკაცეს ჩანჩქერის მიმდებარედ დასრულდა კაფეტერიის მშენებლობა;
- ერუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შენობაზე განთავსდა აბრა ასევე ეროვნული პარკის მიმდებარედ დამონტაჟდა საგზაო მანიშნებლები;
- 11 დაცულ ტერიტორიაზე (ბორჯომი, კინტრიში, თუშეთი, კოლხეთი, ლაგოდეხი, მარიამჯვარი, ჯავახეთი, ჭაჭუნა, ერუშეთი, ალგეთი, ვაშლოვანი) განხორციელდა ეკოტურისტული კოტეჯების ავეჯით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში (2025 წელი) დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვის მიზნით, შეძენილ იქნა:

ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა:

- შესყიდულია შემდეგი ინვენტარი: ხანძარსაწინააღმედგო თოხი, ხანძარსაწინააღმედგო ცული, ხანძარსაწინააღმედგო ბარი, ხანძარსაწინააღმედგო ფოცხი, ხანძარსაწინააღმდეგო ზურგჩანთა, სახანძრო სტენდი, ბენზოხერხი, ცეცხლმაქრი აპარატი, ავტომანქანის წყლის ტუმბო - მოტოპომპა, ეკიპირება - სახანძრო ჩაფხუტი, ხელთათმანი (მარიამჯვარის, ჭაჭუნას, თბილისის, ბორჯომ-ხარაგაულის, იმერეთის, მაჭახელას, ალგეთის, ქობულეთის, რაჭის, კვერეთის, ტანას,

ფშავ-ხევსურეთის, ბაწარა-ბაბანეურის, კინტრიშის და გურიის დაცული ტერიტორიები).

- შესყიდულია 10 ერთეული დრონი (ჯავახეთი, მაჭახელა, ფშავ-ხევსურეთი, ქობულეთი, რაჭა, მტირალა, ტანა, გურია, ვაშლოვანი);
- შესყიდულია 3 კვადროციკლი ბაგის ტიპის (აჯამეთი, გურია)

დაცვის ინფრასტრუქტურა:

- დასრულებულია 3 სარეინჯერო კოტეჯის მშენებლობა (აჯამეთის აღკვეთილი 1 და 2 ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები), დასრულდა ასევე 1 კოტეჯის სარემონტო სამუშაოები (ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები), მიმდინატეობს მუშაობა 2 სარეინჯერო კოტეჯის მშნებლობაზე (კოლხეთის ეროვნული პარკი, ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები); სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია 85 %-ით.
- შესყიდულიქნა 7 ერთეული ხერგილი (აჯამეთის აღკვეთილისა და კოლხეთის ეროვნული პარკისთვის).

ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება

მერქნული რესურსის მართვის მიზნით, ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე უზრუნველყოფილი იქნა ხელმისაწვდომობა 425,427,5 კბმ-ზე (საბიუჯეტო ორგანიზაციები მომარაგდა 15,555,6 კბმ სათბობი მერქნული რესურსით; სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან გაცემულია 227,145,3 კბმ; აუქციონის წესით რეალიზებულია 182,726,6კბმ).

2025 წელს მოსახლეობისთვის საშეშე მერქნით უზრუნველსაყოფად სოციალური ჭრის ფარგლებში ტყეკაფებით გამოყოფილი იქნა - 236 122,5 კბმ საშეშე მერქანი, საიდანაც მოიჭრა და ტყიდან გატანილი იქნა - 227145,3 კბმ. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სამეურნეო, მოვლითი და სანიტარული ჭრის მიზნით ტყეკაფებით გამოყოფილმა მოცულობამ შეადგინა 28 161,7 კბმ, ხოლო მოიჭრა - 105 986,2 კბმ (მოიჭრა წინა წლების გამოყოფილი ტყეკაფების მარაგიდანაც).

2025 წელს, ტყის აღდგენა-გაშენების მიზნით 3355.1 ჰა ფართობზე დაიგეგმა და განხორციელდა ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები, მათ შორის: 1733.9 ჰა ახალ ფართობზე (გურია 25.7 ჰა; სამცხე-ჯავახეთ 124.3 ჰა; კახეთი 1571.8 ჰა; მცხეთა-მთიანეთი 12.1 ჰა) განხორციელდა ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის სამუშაოები და 1621.2 ჰა ფართობზე (გურია 677 ჰა; რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი 100.6; სამცხე-ჯავახეთი 554.4 ჰა; შიდა ქართლი 31.7 ჰა; ქვემო ქართლი 77 ჰა; კახეთი 180.5 ჰა) განხორციელდა გასულ წლებში აღდგენილი ფართობების მოვლის და მიმდინარე ტყის აღდგენის პროექტების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები. აღნიშნული ფართობიდან მოვლა- აღდგენა-**გაშენების სამუშაოები დასრულდა 2059.6 ჰა ფართობზე**.

ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ფარგლებში, 2025 წელს ტყის მართვის გეგმები

მომზადებულია 248,563 ჰა ტერიტორიაზე (ოზურგეთი - 19300 ჰა, დედოფლისწყარო-სიღნაღი - 23644 ჰა, ყვარელი -45044 ჰა, თელავი - 52331 ჰა, ონი - 57417 ჰა, ცაგერი - 50827 ჰა.)

- „ტყის მდგრადი მართვა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანი“ პროექტის ფარგლებში - ოზურგეთის სატყეო უბნის - 19300 ჰა ტერიტორიაზე მომზადდა ტყის მართვის გეგმის პროექტი; თიანეთის სატყეო უბნისთვის (ფართობი - 40924 ჰა) განხორციელდა II ეტაპით გათვალისწინებული ტყეთმოწყობის საველე სამუშაოების გადამოწმება, რომელიც წარმოდგენილია 25680 ჰა ფართობზე,
- საგარეჯოს (ფართობი - 37 682 ჰა) და გურჯაანის სატყეო უბნებისთვის (ფართობი-28 848 ჰა) დასრულებულია I ეტაპით (დეშიფრირებული სახელმწიფო ტყის ფართობების გადამოწმება და შეთანხმება) და II ეტაპით (ტყეთმოწყობის საველე სამუშაოების გადამოწმება) გათვალისწინებული სამუშაოები;
- დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმა - 23644 ჰა ფართობისთვის;
- შემუშავდა ტყის მართვის გეგმის პროექტი ყვარლის სატყეო უბნისთვის - 45044 ჰა ფართობზე, მიმდინარეობს საჯარო განხილვა;

ასევე შემუშავებულია ტყის მართვის გეგმის პროექტები: თელავის სატყეო უბნისთვის - 52331 ჰა ფართობზე; ონის სატყეო უბნისთვის - 57417 ჰა ფართობზე; ცაგერის სატყეო უბნისთვის - 50827 ჰა ფართობზე; აღნიშნულ სატყეო უბნებში ტყეთმოწყობის საველე სამუშაოები დასრულდა 2024 წელს.

ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების მოძიება, აღდგენა-გაუმჯობესება და გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, მიკვლევადი ინდივიდების რაოდენობა შეადგენს 5 774 სულს. სანაშენე ცხოველების რაოდენობა შეადგენს 550 სულს. 2025 წელს, მიმდინარეობდა სამუშაოები ცენტრის პროექტების კვლევის ფარგლებში (ბაზებზე და მუნიციპალიტეტებში) და ფერმერებზე გადაცემულ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშების და პოპულაციების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების ტიპიურ სულადობებზე. ჩატარდა მათი პოტენციალის შეფასება, პირველადი ზოოტექნიკური კვლევა, ჯიშური მიკვლევადობის სისტემაში ჩართვა და სანაშენე საქმიანობის ზედამხედველობა; ცხოველთა დაავადებების გავრცელების არეალების შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების სისტემის შემუშავება.

ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოძიება, შენარჩუნება და გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, კოლექციაში ჩართულია მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 1616 ჯიში-ფორმა-სახეობა-ნიმუში; გენბანკში დაცულია 2085 ნიმუში. 2025 წელს მიმდინარეობდა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების გენოფონდის მოძიების, აღდგენის, კონსერვაციის, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნის სამუშაოები; საერთაშორისო სანერგეებიდან ინტროდუცირებული ერთწლოვანი

კულტურების გენეტიკური მასალის აღდგენა, გამრავლება, შეფასება და კონსერვაცია; მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის დაცვის, ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების შესწავლის და პოტენციალის შეფასების სამუშაოები; ბიოაგროწარმოების მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სქემის შემდგომი განვითარების მიზნით, სერტიფიცირებული სარგავი მასალის რაოდენობამ შეადგინა 247 736 ცალი ნერგი, ხოლო სერტიფიცირებული სათესლე მასალის რაოდენობამ 553 ტონა, საერთაშორისო სტანდარტების შესამაბისად სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში დანერგილია თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემა; შექმნილია ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ადგილობრივი ჯიშების გენეტიკური ბანკი; შექმნილია და შენარჩუნებულია ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების ex-situ და in-situ კოლექციები.

ბოსტნეული კულტურების ჰიდროპონიკური ტექნოლოგიით მოყვანის შესახებ ფერმერებისათვის საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა **4 ტრენინგი** ჰიდროპონიკაზე:

1. ივნისის მეორე ნახევარში ჩატარდა 1 ტრეინინგი ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის;
2. სექტემბრის მეორე ნახევარში ჩატარდა 1 ტრენინგი ფერმერებისთვისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებისთვის;
3. ოქტომბრის მიწურულს კასპის საჯარო სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებისთვის;
4. ნოემბრის დასაწყისში 1 ტრეინინგი აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

მესამე სტრატეგიული მიზანი - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები

მესამე სტრატეგიული მიზანი - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის,ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები მოიცავს: 4 ამოცანას და 11 აქტივობას, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკუთვნის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ შესაბამის დეპარტამენტებსა და სააგენტოებს.

ამოცანა 3.1 ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროში საკანონმდებლო დაახლოება განხორციელდა ევროკავშირის 11 სამართლებრივ აქტთან. **2024-2025 ჯამში 23 სამართლებრივ**

აქტთან (აღნიშნულიდან ევროკავშირის 21 სამართლებრივ აქტის შესაბამისად მიღებულ იქნა ეროვნული კანონმდებლობა, ხოლო 2 სამართლებრივ აქთან საკანონმდებლო დაახლოება მიჩნებულ იქნა არარელევანტურად, თუმცა ვალდებულება ჩაითვალა შესრულებულად).

ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან

2025 წლის მანძილზე **სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის** ფარგლებშიჩატარდა 39 530 სახელმწიფო კონტროლი, აქედან:

- გეგმური ინსპექტირება - 9 241;
- არაგეგმური ინსპექტირება - 1 833;
- ინსპექტირება (არაგეგმური) აღიარების მინიჭების მიზნით - 279;
- გადამოწმება - 10 517;
- დოკუმენტური შემოწმება-8 097;
- HACCP-ის გეგმური აუდიტი - 137;
- HACCP-ის გეგმური აუდიტის დროს გაცემული მითითებების გადამოწმება-113;
- ლაბორატორიული კვლევისთვის სურსათის/სასმელი წყლის 74 42 ნიმში/სინჯის აღება;
- ზედამხედველობა-1 871;

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლინდა 4 037 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში, ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით დაავადებებზე (თურქული, ჯილეხი, ბრუცელოზი, ცოფი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი) პროფილაქტიკური/იძულებითი ვაქცინაცია 5 424 002 სულ ცხოველს.

ცხოველთა ინფექციურ დაავადებებზე და ტუბერკულოზზე საველე ალერგიული მეთოდით განსახორციელებელი კვლევების ჩატარება საქართველოს მთავრობის №584 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე დამტკიცების შესახებ“ - საფუძველზე **გადავადდა 2030 წლამდე.**

საანგარიშო პერიოდში, ყირიმ კონგოს ეპიდემიოლოგიურ კერებში დამუშავებულია 10 467 სული მსხვილფეხა საქონელი; ბიოუსაფრთხოების პუნქტებზე ექტოპარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 5 268 სული მსხვილფეხა და 1 015 811 სული წვრილფეხა საქონელი.

საანგარიშო პერიოდში, იდენტიფიცირებულია და რეგისტრირებულია 527 237 სული მსხვილფეხა, 470 587 სული წვრილფეხა საქონელი, 255 საფუტკრე მეურნეობა და 10 950 ფუტკრის ოჯახი.

სახელმწიფო ვეტრეინარული კონტროლის ფარგლებში, 2025 წელს განხორციელდა 1 642 სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი აქედან: გეგმური ინსპექტირება -1 215; არაგეგმური ინსპექტირება - 86; ინსპექტირების დროს გაცემული მითითებების გადამოწმება - 111; ინსპექტირება (არაგეგმური) აღიარების მინიჭების მიზნით -14; HACCP-ის გეგმური აუდიტი - 9; HACCP-ის გეგმური აუდიტის დროს გაცემული მითითებების გადამოწმება-5; დოკუმენტური შემოწმება - 190; ზედამხედველობა-12; გამოვლინდა 58 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

- ფსიქოტროპული პრეპარატების გამომყენებელი კლინიკების სარეგისტრაციო შემოწმება 2;
- სალმონელაზე და ენტერობაქტერიებზე გამოკვლეულ იქნა თევზის ფქვილის უვნებლობის მონიტორინგის მიზნით-35 ნიმუში ხოლო ცხოველის საკვების უვნებლობის მონიტორინგის მიზნით-22 ნიმუში.
- ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შეძენილი და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა ვეტერინარული პრეპარატის 203 ნიმუში.
- თევზის 129 ნიმუშში გამოკვლეული იქნა მალაქიტის მწვანე და ლეუკომალაქიტის მწვანე, კრისტალური იისფერი და ლეუკოკრისტალური იისფერი, ხოლო წყლის 38 ნიმუშში მალაქიტის მწვანე და ლეუკომალაქიტის მწვანე. თევზის 7 ნიმუშში აღმოჩნდა ლეუკომალაქიტი.
- სალმონელაზე და ენტერობაქტერიებზე გამოკვლეული იქნა თევზის ფქვილის 25 ნიმუში დაცხოველის საკვების 17 ნიმუში.
- ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების და დამაბინძურებლების გამოვლენის მონიტორინგის მიზნით განხორციელდა ცოცხალ ცხოველების ბიოლოგიურ მასალის (სისხლი, ქსოვილი, შარდი) და სასურსათო ცხოველის საკვების სულ 368 ნიმუშის აღება, 19 მაჩვენებელზე გამოკვლევა და 1800 ანალიზის გაკეთება. სისხლის 14 ნიმუშში აღმოჩნდა ქლორამფენიკოლი, ფრინველის საკვების 1 ნიმუშში სტრეპტომიცინი.
- განხორციელდა ვადაგასული 762 ერთეული პრეპარატის განადგურებაზე 8 ზედამხედველობა, 1080 კგ ცხოველის საკვების განადგურება 2 ზედამხედველობა დათევზის 2 ნიმუშის აღებაზე 2 ზედამხედველობა.

მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტრული კეთილსაიმედოობის მიღწევა-შენარჩუნებისთვის სანგარიშო პერიოდში, დამუშავდა: კალიების წინააღმდეგ - 23 210 ჰექტარი ფართობი, ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ - 1937 ჰექტარი ფართობი.

სანგარიშო პერიოდში, რისკის შემცველი ქიმიკატებიდან ფალსიფიცირების პრევენციის მიზნით, პესტიციდების/აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების კონტროლი განხორციელდა 518 ობიექტში. აღებულია პესტიციდების და აგროქიმიკატების კვლევისთვის 340 ნიმუში.
საკარანტინო მავნე ორგანიზმების კვლევების მიზნით (მ.შ. სანერგეების) 2025 წლის განმავლობაში 1 883 ნიმუშს ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ფარგლებში, სანგარიშო პერიოდში,

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავდა 450 000-მდე ჰექტარი ფართობი, მონიტორინგის მიზნით დამონტაჟდა 8 000-მდე ფერომონი, ხოლო „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურებზე -208 000-მდე ფერომონი.

ამოცანა 3.3. ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება

ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დანერგვა და/ან აკრედიტირების მიზნით, 2025 წლის განმავლობაში სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში დაინერგა 32 ახალი მეთოდი (16 მეთოდი მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის მიმართულებით, 11 ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის მიმართულებით და 5 სურსათის კვლევის მიმართულებით). 2024-2025 ჯამში დაინერგა და/ან აკრედიტაცია გაიარა 77 მეთოდმა.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ახალი პარამეტრების დანერგვა და/ან აკრედიტირების მიზნით, 2025 წლის IV კვარტალში დაინერგა ქინოლონების და ფლუოროქინოლონების განსაზღვრა სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით 9 ახალი პარამეტრი: Ciprofloxacin, Danofloxacin, Difloxacin, Enrofloxacin Marbofloxacin, Norfloxacin, Orbifloxacin, Sarafloxacin, Oxolinic acid. 2024-2025 ჯამში აკრედიტაცია გაიარა 36 პარამეტრმა.

2025 წლის განმავლობაში ლაბორატორიაში მიმდინარეობდა და ამ ეტაპზეც გრძელდება LIMS-ის ტესტირების პროცესი, რომლის ფარგლებშიც ABACO-ს მხრიდან, ასევე, განხორციელდა მომხმარებლის რეგისტრაციის ფუნქციონალის გამართვა.

ამოცანა 3.4 სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა

საქართველოს მიწის ფონდის შესწავლის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, შესწავლილია ნიადაგების მდგომარეობა 30,000 ჰა-ზე და შესწავლილ ფართობზე შედგენილია 6 თემატური რუკა. გაგრძელდება საქართველოს ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით და მომზადდება რეკომენდაციები ნიადაგის აღდგენისა და ნაყოფიერების კონტროლის განხორციელებისათვის.

საანგარიშო პერიოდში, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევის განხორციელების ფარგლებში, საქართველოსთვის პრიორიტეტული კულტურების უნარჩენო ტექნოლოგიებისა და შენახვა-გადამუშავების თანამედროვე მეთოდების მიხედვით ჩატარებული სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით მომზადებულია 5 რეკომენდაცია და 5 ტექნოლოგიური ინსტრუქცია.

გამოწვევები და რეკომენდაციები

განხორციელების პროცესში მთავარ გამოწვევებად გამოიკვეთა, ადამიანური და ფინანსური რესურსების, მათ შორის მაღალკვალიფიციური და გამოცდილი დარგის სპეციალისტების ნაკლებობა, შესაბამისიკვალიფიკაციის მქონე კადრების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმცირე. ამასთან, ქვეყანაში გართულებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და ფერმერთა დაბალი აქტივობა, ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა.

2025 წელს, გამოწვევა იყო ადმინისტრაციული ორგანოების მხრდიან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამაში ჩასართავი უარყოფითი პოზიციების სიმრავლე, დაინტერესებულ პირთა მხრიდან დაბალი ინტერესი და ამასთანავე, კერძო საკუთრებაში მოხვედრილი ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციაზე მესაკუთრეთა უარი.

ყოველწლიურ გამოწვევად რჩება, დაბალი ანაზღაურება და ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა. თანამედროვე ინფრასტურქტურის არ არსებობა, რომელიც ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ბაზარზე წარმოდგენილი ღვინის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების სრულყოფილად განხორციელებისთვის, **მნიშვნელოვანია**, ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზარზე კონტროლის გაძლიერება, რაც მინიმუმადე დაიყვანს ნორმატიულ დოკუმენტებთან შეუსაბამო პროდუქციის რეალიზაციას.

გამოწვევაა ასევე ღვინის გლობალურ ბაზარზე მოხმარების შემცირება, რაც აისახება ექსპორტის მონაცემების კლებაზე.

საყურადღებოა, საზღვარგარეთის ქვეყნებში დაცული იქნეს ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული საერთაშორისო კონფერენციები, სამეცნიერო გამომცემლობები, რათა იცოდნენ რომ საქართველო ღვინის სამშობლოა.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი რომ სრულყოფილად განხორციელებისთვის ერთერთი გამოწვევაა სურსათის ბიზნესოპერატორთა არასწორი/არაზუსტი რეესტრი - მონაცემთა ბაზები.

ბიზნესოპერატორების მომართვის საფუძველზე შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს სარეალიზაციო ობიექტების რაოდენობა. ლაბორატორიაში კვლევის ახალი მეთოდების დანერგვის გამო გაიზრდება გამოსაკვლევი პრეპარატების ასორტიმენტი.

კლიმატური პირობების გათვალისწინებით შესაძლოა შეიცვალოს მავნებლების გავრცელების არეალი და პოპულაციის რიცხოვნობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დასამუშავებელი ფართობების გაზრდა ან შემცირება. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე **აუცილებელია:** მავნე ორგანიზმების გავრცელების კერების აქტიური მონიტორინგი, ასევე, პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების სათანადოთ გატარების მიზნით, საჭირო რაოდენობით შემასხურებელი ტექნიკის, პესტიციდების მარაგებისა და ღონისძიებაში ჩართული პერსონალის მომზადება.

ყოველთვის არსებობს ქვეყანაში ახალი მავნე ორგანიზმების გამოჩენის ალბათობა, რის გამოც შესაძლოა საჭირო გახდეს გამოსაკვლევი ნიმუშების რაოდენობის გაზარდა.რეკომენდირებულია და მნიშვნელოვანია ლაბორატორიული შესაძლებლობების გაზრდა, თანამედროვედ აღჭურვილი ინფრასტრუქტურის შექმნა, ახალგაზრდების დაინტერესებისათვის ცნობიერების ამაღლება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა და ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, წახალისება.

ამასთანავე რეკომენდირებულია, გაგრძელდეს მუშაობა საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/განვითარების მიმართულებით, გაგრძელდეს მუშაობა საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციის მიმართულებით. გაგრძელდეს მუშაობა სპორტული, კულტურის და რეკრეაციული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაციის მიმართულებით. გაგრძელდეს მუშაობა წყალმომარაგებასა და წყალარინებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა/რეაბილიტაციის მიმართულებით.

დანართი - 2025 წლის კონსოლიდირებული სტატუსანგარიში (აქტივობის დონე).